საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 604/14
15. 09. 2007

დასკვნა
"არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ
საერთაშორისო კონვენციის"
თაობაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია" და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი კონვენციის რატიფიცირება.

მერაბ ანთაძე
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678
www. mfa.gov.ge

13

საქართველო
GEORGIA

იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

№ 04/23/02-1433
„23" 02 2007 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლევან ჭოლაძეს

№ 3975/28
28 02 07
2

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 22 იანვრის №2/792-14 წერილის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საერთაშორისო კონვენცია და გაცნობებთ:

კონვენციის მე-2 მუხლით განმარტებული ტერმინი „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა" უცნობია საქართველოს კანონმდებლობისათვის.

კონვენციის მე-3 თავის დებულებები, რომელიც ითვალისწინებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ეროვნულ დონეზე არათვითშესრულებადი ხასიათისაა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, წარმოდგენილი კონვენციის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა მომზადდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა კომპეტენტური უწყების მიერ.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, რატიფიცირებისათვის წარდგენილ საერთაშორისო ხელშეკრულებას თან უნდა ერთვოდეს კანონპროექტი საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კონვენციის საქართველოს პარლამენტისათვის სარატიფიკაციოდ წარდგენამდე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ უნდა მომზადდეს შესაბამისი კანონპროექტი.

გასათვალისწინებელია, რომ კონვენციის მე-11, მე-12, მე-20 და 29-ე მუხლების შესაბამისად, ყოველი სახელმწიფო მხარე იღებს ვალდებულებას, მოახდინოს თავის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ელემენტის იდენტიფიცირება და განსაზღვრა, შეადგინოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ერთი ან რამდენიმე ჩამონათვალი და რეგულარულად განაახლოს იგი, აგრეთვე კონვენციის შესაბამისად შექმნილი კომიტეტის მიერ განსაზღვრული ფორმითა და პერიოდულობით, წარუდგინოს

საქართველო, თბილისი, 0146, რუსთაველის გამზ. 30. ტელ./ფაქსი: 75-82-37, ელ. ფოსტა: ministry@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., Tbilisi, Georgia, Tel./Fax: (99532) 75 82 37, E-Mail: ministry@justice.gov.ge

კომიტეტს საკანონმდებლო და მარეგულირებელი და აგრეთვე წინამდებარე კონვენციის შესრულების მიზნით მიღებული სხვა ზომების შესახებ.

კონვენციის ქართულენოვანი ტექსტი შესაბამისობაშია მოსაყვანი ინგლისურენოვან აუთენტურ ტექსტთან (მაგ.: პრეამბულის პირველი აბზაცი, მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, მე-13 მუხლის „დ" პუნქტი, მე-14 მუხლის „ა" პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი და ა.შ.). წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული შეიძლება გახდეს კონვენციის დებულებათა განსხვავებული განმარტების საფუძველი.

პატივისცემით,

კონსტანტინე კორკელია
მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-04/8703
„20" 08 2007

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი 2007 წლის 27 ივლისის №2/12385-14 წერილი, რომელიც ეხება "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საერთაშორისო კონვენციასთან საქართველოს მიერთების საკითხს.

გაცნობებთ, რომ კონვენციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში კონვენციის წევრი ქვეყნების მიერ ორ წელიწადში ერთხელ საწევრო შენატანების გადახდა.

საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს საწევრო შენატანების გადახდა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მუხლიდან: "საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯები". აღნიშნული მუხლის განწერა პრიორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით წარმოადგენს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამას და ამდენად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში საქართველოს საწევრო შენატანის გადახდის საკითხი სცილდება ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციას.

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

№16149/2-01
"21" 08 7

ქ. თბილისი, 0162, ი. აბაშიძის ქ. №70, www.mof.ge 70, I. Abashidze str, 0162, Tbilisi, Georgia
ტელ/Tel.: (995 32) 226805; 290778; ფაქსი/Fax: (995 32) 292368;

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
კ ულ ტ ურ ის, ძ ეგ ლ თ ა დ აც ვ ის ა
დ ა ს პ ორ ტ ის ს ამ ინ ის ტ რ ო

Ministry of Culture, Monuments
Protection and Sport of
Georgia

№ 17/09/2319 "13" ივნისი 2007 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივ საქმეთა
დეპარტამენტის დირექტორს ბ-ნ ი. გივიაშვილს

2007 წლის 28. მაისის
№2/8577-14-ზე

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ განიხილა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის (№8/482 23.05.2007) შენიშვნები შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასასრულებლად "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საერთაშორისო კონვენციასთან დაკავშირებით და აღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა შემდეგი პოზიცია:

1. საქართველოს მხარის მიერ შენატანის ოდენობა კონვენციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად "ჩვეულებრივ არ აღემატება იუნესკოს ბიუჯეტში მისი (ქვეყნის) შენატანის 1%-ს", რაც შეადგენს 100 ა.შ.შ. დოლარს ორ წელიწადში ერთხელ. საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არის შესათანხმებელი.
2. კონვენციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს მხარის მიერ გასაწევ ხარჯებს დააფინანსებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო შესაბამისი წლების ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის გარეშე.
3. მესამე შენიშვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება.
4. მეოთხე შენიშვნა ეხება 38-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტში მითითებული ტერმინის "შენიშვნები" შეუსაბამობას კონვენციის ინგლისურენოვანი ტექსტის შესაბამისი პუნქტების შინაარსთან, რომლის შესწორებაც სცილდება ჩვენი უწყების კომპეტენციის ფარგლებს.
5. კონვენციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ტერმინში "რაიმე სახის აღიარება" იგულისხმება იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმნელი ძეგლების რეპრეზენტატიული ნუსხა, რომელიც უკვე აღიარა იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის

0105. ქ.თბილისი. სანაპიროს ქ. №4. ტელ: 987 430, 932 255; ფაქსი: (8832) 985 734
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (8832) 985 734 Phone: 987 430, 932 255

სამთავრობათაშორისო კომიტეტის შექმნამდე. კონვენციის პირობების თანახმად, მასში რაიმე სახის ცვლილებების შეტანა დაუშვებელია (ცნობისათვის აღნიშნულ ნუსხაში 2001 წელს შეტანილია ქართული მრავალხმიანობა). საქართველოს კონვენციასთან მიერთების შემდეგ მიეცემა უფლება მიიღოს მონაწილეობა აღნიშნული კომიტეტის მიერ შემოთავაზებულ სხვა პროექტებში.

მინისტრის პირველი მოადგილე

ნ. ვაჩეიშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

№ 15-09-1/11052

13 07 2007 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი
დეპარტამენტის დირექტორს
ბ–ნ ირაკლი გივიაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2007 წლის 7 ივნისს გამოგზავნილი N2/9334–14 წერილი (8.06.07 N03/5133), რომლითაც წარმოდგენილია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენიშვნები „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის" პროექტთან დაკავშირებით და გაცნობებთ:

კონვენციის მე–14 მუხლთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილია ტერმინი „სასწავლო პროგრამა" შეიცვალოს ტერმინით „საგანმანათლებლო პროგრამა". ამასთან, ენობრივი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კონვენციის მე–14 მუხლის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღიარებას, პატივისცემასა და ამაღლებას შემდეგი საშუალებებით:

- საგანმანათლებლო, საინფორმაციო და შემეცნებითი პროგრამებით, აგრეთვე საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინფორმირებით;
- დაინტერესებული საზოგადოებისა და ჯგუფებისათვის კონკრეტული საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროგრამების შეთავაზებით;

14315/2-44
13 07 2

- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გამოყენების მიზნით მართვისა და სამეცნიერო კვლევების სფეროებში სპეციალური ღონისძიებების გატარებით;
- ცოდნის გადაცემის არაფორმალური მეთოდებით".

პატივისცემით,

მინისტრის პირველი
მოადგილე ალექსანდრე დიდებულიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

№ 01-15-09-1/2394
„15" 02 2007 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბ–ნ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 2007 წლის 22 იანვრის N2/791–14 (23.01.07. N03/550) წერილის პასუხად, რომლითაც წარმოდგენილია „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის ქართულენოვანი ოფიციალური თარგმანის დამოწმებული ტექსტი, გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია

საგარეო საქმეთა
№ 34857
"22" 02 2007

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის ქ. 52; ტელეფონი: 95 99 12 ფაქსი: 95 32 13 / 95 51 99
www.mes.gov.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND NATURAL
RESOURCES OF GEORGIA

„06" „02" 2007 წ.
№07-13/305

თქვენი 200 წლის „—"„—"

№ — წერილის პასუხად

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

თქვენი 2007 წლის 22 იანვრის №2/789-14 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მიერ „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის" რატიფიცირების წინააღმდეგი არ არის.

პატივისცემით,

სოფიკო ახობაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველო, 0114 თბილისი, გ. გულუას ქ. №6 275700 275720 ფაქსი: 275737
6 Gulua st. 0114, Tbilisi, Georgia, (+995 32) 275700 275720 Fax: 275737 E-mail: ministry@moe.gov.ge

საგარეო საქმეთა
№ 2570/2-0
"8" 02 2007

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
კ ულ ტ ურ ის, ძ ეგ ლ თ ა დ აც ვ ის ა
დ ა ს პ ო რ ტ ის ს ა მ ინ ის ტ რ ო

Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia

№ 17/13/1071 „30" 03 2007 წ.

საქართველოს საგარეო
საქმეთა სამინისტროს

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2007 წლის 13 მარტის №2/3837-14 წერილი, საქართველოს საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და შესაბამისი კანონპროექტის მომზადების თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის" დაცვას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში შემუშავდა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" კანონის პროექტი, რომლის განხილვა ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტში მეორე მოსმენით. აღნიშნულ კანონის პროექტში ასახვა ჰპოვა იმ ძირითადმა ნორმებმა, რომლითაც შესაძლებელი იქნება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება.

ცნობისთვის გეგზავნებათ საქართველოს პარლამენტში მეორე მოსმენით განსახილველად წარდგენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი.

მინისტრის პირველი
მოადგილე ნ. ეზაჩეიშვილი

საგარეო საქმეთა სამინისტრო
№ 6609/2-9
"04" 04 2007
1/12 = 11 = ფურცელი

0105. ქ.თბილისი. სანაპიროს ქ. №4. ტელ: 987 430, 932 255; ფაქსი: (8832) 985 734
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (8832) 985 734 Phone: 987 430, 932 255
www.mc.gov.ge E-mail: info@mc.gov.ge